

ვადამდეელი არჩევნები არ იქნება

ოპოზიციის შეცდომები ხელისუფლებამ გამოიყენა

გაზეთი “ახალი თაობა” – 18 ოქტომბერი, № 246, 2010

ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტ ლადო პაპავასთან

– ბატონო ლადო, როგორ შეაფასებდით შიგა პოლიტიკურ პროცესებს და რამდენად მოქმედებს ამ პროცესებზე გარე ფაქტორები?

– შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის შიგნით პოლიტიკური სიტუაცია არის მდორე, არაფრის მთქმელი. ეს ჩემთვის შემაშფოთებელია იმიტომ, რომ მიღებულ იქნა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი – კონსტიტუცია, რომელმაც უნდა ქვეყნის ხვალისდელი მოწყობა გადაწყვიტოს. რატომღაც, ჩემდა გასაკვირად, ქართულ საზოგადოებაში არის აბსოლუტურად ინდეფერენტული დამოკიდებულება. არავის არაფერი არ აღელვებს. არის ექსპერტთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც თავის პოლიტიკას გამოთქვამს, არის ოპოზიციური პარტიები, რომლებიც ტრადიციულად ხელისუფლებას აკრიტიკებენ, მაგრამ იქმნება ასეთი განცდა, რომ საზოგადოებას საერთოდ არ ადარდებს, რა ხდება. როგორი იქნება საქართველოს ხვალისდელი მოწყობა. ის, რომ საქართველოში სტუდენტობა არ არსებობს, კიდევ ერთხელ დადასტურდა ამ კონსტიტუციის განხილვის და მიღების დროს. იმიტომ, რომ რამდენიმე წლის წინ თურქეთის კონსტიტუციაში ცვლილებები რომ შეჰქონდათ, მთელი თურქეთი სტუდენტური გამოსვლებით იყო სავსე. საქართველოში ეს სოციალური ფენა – სტუდენტობა, როგორც ასეთი, არ არსებობს. არავის არ ადარდებს არაფერი. ამიტომ რა შეიძლება ითქვას: ხანდახან თუ პატარა “გამხიარულება” საზოგადოება ახალი პარტიის შექმნით, თუ რაღაც ახალი ინიციატივის გამოჩენით, რომელსაც ასევე რეალურად არაფერი არ მოაქვს საზოგადოებისთვის.

– ამ “გამხიარულებაში” ახალ პარტიას გულისხმობთ, რომელსაც ოქრუაშვილი ხელმძღვანელობს?

– “გამხიარულება” ნიშნავს, რომ ყველაფერი მდორედ არის, სრული შტილია. უძრაობაა და ამ დროს თუ რაღაც გამოჩნდება დაგუშვით ახალი პარტია, ან სახალხო კრება, ასეთ რაღაცეებს საზოგადოებაში პატარა

“გამხიარულება” შემოაქვს. ჟურნალისტებს დღის თემა უჩნდებათ, სერიოზულად სალაპარაკო კი, სამწუხაროდ, არც არაფერია. მახსენდება ბრეჟნევის ეპოქა. მე ვერ დავიჯერებ იმას, რომ რაც ხდება ქართული საზოგადოება იმით კმაყოფილი იყოს. ამავდროულად ვერ ამიხსნია, თუ რატომ არ აღარდებს საზოგადოებას სახელმწიფოს ხვალინდელი მოწყობა. რა, კონსტიტუცია მნიშვნელოვანი თემა არ არის? აქ რომ საზოგადოებაში მღელვარება იყოს, ეს ხომ შეაფერხებდა კონსტიტუციის მიღებას, თუნდაც იმიტომ, რომ იმავდროულად დასავლეთიდანაც არის სერიოზული ზეწოლა. ვენეციის კომისიამ რამდენჯერმე მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი თხოვნა, რომ მანამდე ნუ განიხილავთ კონსტიტუციას, სანამ ჩვენი საბოლოო დასკვნა არ იქნებაო. მაგრამ, როგორც ხედავთ, კონსტიტუცია უკვე მიღებულია. როცა პრემიერ-მინისტრი ჩავიდა ვაშინგტონში და შეხვდა ჰილარი კლინტონს, იქაც მიიღო მკაფიო შეტყობინება მთავრობისთვის და ქვეყნისთვის, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ ითანამშრომლებს საქართველოს მთავრობა ვენეციის კომისიასთან. ასე, რომ არ არის დასავლეთი დაინტერესებული საქართველოში მდორე პოლიტიკური პროცესით, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს ხელისუფლებისთვის არც ვენეციის კომისიის თხოვნა და არც ჰილარი კლინტონის მოწოდება არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ ცოტათი მაინც შეეფერხებინა კონსტიტუციის მიღება. თანაც კონსტიტუციური სიახლეები ძირითადად სამი წლის შემდეგ უნდა ამოქმედდეს, ხელისუფლებამ კი საოცარი სისწრაფით მიიღო. ახლა რომ ჩამოვა ვენეციის კომისიის დასკვნა, ვისთვის იქნება ის?

– თქვენ საზოგადოების ინტერულობა ახსენეთ, საზოგადოება კი პოლიტიკოსების ნაბიჯებს ელოდება.

– მარტო ცალკეული პოლიტიკოსების ქმედებას კი არ უნდა ელოდებოდეს, თვითონ საზოგადოებას უნდა სჭირდებოდეს პოლიტიკოსების ქმედება. საინტერესო თემა გავიხსენოთ: ლეიბორისტებმა წამოწიეს საკმაოდ საინტერესო და მათთვის ტრადიციული პრობლემა, სითი-პარკის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომლითაც 25 ლარიანი მოსაკრებლის 50 ლარამდე გაიზარდა. ლეიბორისტებმა ჩაატარეს საპროტესტო აქცია და თბილისის მძღოლებს მოუწოდებდნენ შემოერთებოდნენ და საპროტესტო მსვლელობა განეხორციელებინათ ჩართული საყვირებით. შედგა ეს აქცია? რა, ყველა მძღოლს უხარია, რომ მისი ჯიბიდან 25 ლარის ნაცვლად 50 ლარს რომ ამოიღებენ? გეკითხებით, რა უნდა გაეკეთებინათ ლეიბორისტებს? რაც თქვენს,

სწორეა, მაგრამ მივიდა ვინმე? დიდად არც არავის შეუწუხებია თავი. ანუ ეს ინდეფერენტულობა, რაც საზოგადოებაშია, მერე გადაეცემა პოლიტიკურ პარტიებს. არის ისეთი შეგრძნება, რომ საზოგადოება პოლიტიკიდან გადაიღალა. ალბათ ამის გამოა ასეთი პასიური დამოკიდებულება, რაც ძალიან ცუდია.

– ამაშიც ხელისუფლების ხელი ურევია?

– რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ შესანიშნავად გამოიყენა ყველა შეცდომა, რომელიც დაუშვა ოპოზიციამ. ისიც სცადა, რომ ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი გაეხითურებინა და ამაში წარმატებასაც მიაღწია. შედეგად გვაქვს ის, რომ ქვეყნის მომავლის ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი იხილებოდა და ეს თითქმის არავის აღელვებდა საზოგადოებაში. პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მოწოდებების მიუხედავად პროტესტი გამოეთქვათ ახალი კონსტიტუციისადმი, აქციაზე მხოლოდ რამდენიმე ასეული ადამიანი მივიდა. ასე რომ, დღეს არის იდეალური ფონი ნაციონალური მოძრაობისათვის. ის დღეს არის სრულად გამარჯვებული და რასაც უნდა, იმას აკეთებს.

– უშედეგო იქნება ოპოზიციის იმ ნაწილის ნაბიჯები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ამ შემოდგომაზე დაგეგმილი საპროტესტო აქციებით შეძლებენ ხელისუფლების შეცვლას? ნოემბრის ბოლოს დაგეგმილია სახალხო კრების ჩატარებაც.

– რა გითხრათ, ნოემბრის ბოლოს იწყება ზამთარი. ხალხი აქამდე არ გამოვიდა და რა გარანტია გვაქვს, რომ ნოემბრის ბოლოს გამოვა? არ ვიცი, შეიძლება რაღაც უნდა მოხდეს, რაც ხალხს გამოიყვანს, მაგრამ მე ასეთი ინფორმაცია არ გამაჩნია. ახლა უკვე ცივა, ნოემბრის ბოლოს კი ზამთარი იქნება და რა უნდა მოხდეს, რომ სიცივეში და ზამთარში ხალხი დადგეს ქუჩაში? ან რომელ პოლიტიკურ ძალას ხედავთ, რომელიც ხალხის გამოყვანას შეძლებს? თანაც ამ ოპოზიციამ ერთმანეთი დაჭამა იმის მტკიცებაში, ვინ უფრო ჭეშმარიტი ოპოზიციია, ერთმანეთს დაერივნენ, ხოლო რაც ყველაზე სერიოზული მოსახდენი იყო, მოხდა – პარლამენტმა ახალი კონსტიტუცია დაამტკიცა.

– ოპოზიციის ნაწილი მიიჩნევს, რომ კონსტიტუციური ცვლილებების ასე მშვიდად მიღება, ოპოზიციის მხრიდან იმით იყო განპირობებული, რომ რვა პოლიტიკურ სუბიექტს, რომლებიც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე საუბრობენ, სურს დასაველეთ დაანახონ, რომ კონსტრუქციული ძალები არიან.

– ჯერ ერთი, არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლას რომ ბევრი კითხვის ნიშანი აქვს, ეს გასაგებია. არაარჩევნების გზით რა შეეცვალებო?

ხელიდან გაშვებულ იქნა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები, ხელიდან იქნა გაშვებული ის საპროტესტო მუხტი, რაც ამ არჩევნებს უძღოდა საზოგადოების საპროტესტო ტალღის დროს. ასე დღე იყო შარშან ოპოზიცია გარეთ და გაზაფხულ-ზაფხულის განმავლობაში გადაკეტილი იყო რუსთაველის პროსპექტი. რა მერე? რატომ უნდა ვიყოთ იმ ილუზიაში, რომ ეხლა გამოვა ხალხი და ამით რაიმე შეიცვლება. ხალხის პარტია და კონსერვატორები ცდილობენ, რომ გარე მოვლევებს და აფხაზეთიდან დევნილებს გვერდით დაუდგნენ, რა ამან საზოგადოებაში რაიმე სერიოზული მოძრაობა გამოიწვია? სანწუხაროდ, არა.

– შეიძლება საზოგადოება თვლის, რომ ეს არ არის ის თემები, რომლის გამოც ქუჩაში შეუძლებელია მასობრივად გამოვიდეს ხალხი.

– თუ საზოგადოებისთვის კონსტიტუცია არ არის მთავარი თემა, დაღუპულა მაშინ ეს ქვეყანა. აბა რა არის ამაზე მთავარი?

– მესმის, რასაც გულისხმობთ. თქვენი აზრით, რისი ბრალია ხალხის ინერტულობა, მძიმე სოციალური ფონის?

– მძიმე სოციალური ფონის არა, უბრალოდ საზოგადოება გახდა ინდეფერენტული პოლიტიკური ცხოვრებისადმი. ხალხი ფიქრობს, რომ მაინც არაფერი შეიცვლება. ნახეთ, რა ვითარება შეიქმნა – ყველა ოპოზიციას აკრიტიკებს და ხელისუფლებას არავინ ეხება. ესეც ხომ ფაქტია? ანუ დღეს მოდაშია აკრიტიკო ოპოზიცია, გეგონება ოპოზიციის შეცდომები არის ჩვენი უბედურების თავი და თავი, და ეს პრობლემები, რაც დაგვიგროვდა, ხელისუფლებიდან არ მოდის. ამაშიც ხელისუფლება აღმოჩნდა გამარჯვებული. სახელისუფლო ტელემედით მიდის სრული მანიპულირება საზოგადოების ცნობიერების, ამიტომაც ხალხი დღეს უიმედოდ.

– ოპოზიციურ ფლანგზე სამი პოლუსი გამოიკვეთა: საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მომუშავენი, სახალხო კრება და ნინო ბურჯანაძე, და ირაკლი ოქრუაშვილის ახალი პარტია. სწორად შეარჩია ოპოზიციამ ბრძოლის ტაქტიკა?

– თითოეულ პარტიას აქვს თავისი ტაქტიკა და სტრატეგია. გულახდილად გეტყვით, რომ დღეს სახალხო კრების არსი საერთოდ არ მესმის, თუმცა იქ ძალიან ბევრი საპატივცემულო ადამიანია, მათ მთელი საქართველო აფასებს. როცა იქმნებოდა რუსთაველის საზოგადოება ან სახალხო ფრონტი, მაშინ ამას აზრი ჰქონდა იმიტომ, რომ მაშინ საბჭოთა კავშირი იყო და პოლიტიკური ცხოვრების გამოცდილება არ იყო. სახალხო კრებას რა აზრი აქვს, როცა არის ლეგიტიმური სტრუქტურები, რომლებსაც სცნობს ყველა საერთაშორისო

ორგანიზაცია. მეორეს მხრივ, პოლიტიკა არის პოლიტიკოსების საქმე და არა საზოგადო მოღვაწეების საქმე. საზოგადო მოღვაწეს თუ უნდა აქტიურ პოლიტიკაში ჩაერიოს, ან თვითონ შექმნას პარტია, ან რომელმე პარტიას შეუერთდეს. უფრო უკეთესი ინსტრუმენტი პოლიტიკაში ვიდრე პარტიაა, არ არსებობს.

– საზოგადოების ეს ნაწილი ფიქრობს, რომ სახალხო კრების მეშვეობით ხალხის ხმას გააგებინებენ ხელისუფლებას და ხალხის ნების აღსრულებას მოახდენენ.

– პირველი შეკრებიდან რა გავიგეთ ისეთი, რაც არ ვიცოდით და არ გვსმენია? კონსტიტუცია მივიღეთ და დუმილია. რა ხმა უნდა გააგონო? სახალხო კრების ნაცვლად ახალი პარტია რომ შექმნილიყო ჩემთვის უფრო გასაგები იქნებოდა. სიტყვაზე შეიქმნა ახალი პარტია – “ქართული პარტია”. მისი ლიდერების მიმართ მე ჩემი პირადი დამოკიდებულება მაქვს – ვიღაც ნაკლებად მაღიზიანებს, ვიღაც ძალიანაც არ მომწონს, ვიღაც რაც მალე წავა ქართული პოლიტიკიდან, ის აჯობებს საქართველოსთვის, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ეს გზა სწორი გზაა იმიტომ, რომ პოლიტიკაში ბრძოლის ინსტიტუტი არის პარტია – სხვა რამ არ არსებობს. სახალხო კრება კი ჩემთვის გაუგებარია. ორგანიზატორებს უნდათ, თვითონ შექმნან პარტია – გასაგები იქნება, უნდათ იყვნენ ნინო ბურჯანაძესთან – ესეც გასაგები იქნება; თუ სხვა პარტია უნდათ, სხვა პარტიაში იყვნენ...

– სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებაა დღეს რვა პარტიის მხრიდან საარჩევნო გარემოს შეცვლაზე აქცენტის გაკეთება?

– ეს პარტიები ფიქრობენ, რომ დასავლეთს გაუჩინონ ნდობა, რომ საქართველოში არის კონსტრუქციული ოპოზიციური ძალა. დასავლეთს ძალიან ეშინია პოლიტიკოსისათვის შეუფერებელ ენაზე მეტყველი პოლიტიკოსების. ეს მათ აფრთხობთ და როცა ასეთ ოპოზიციურ ძალას ხედავენ, ხანდახან ქვეცნობიერადაც მხარს უჭერენ მოქმედ რეჟიმს. რა, არ სჭირდება ქვეყანას საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება? ამით ეს რვა პარტია დასავლეთს უჩვენებს, რომ არიან კონსტრუქციულები და ნუ ჩაიციკლებიან მოქმედ რეჟიმზე და იფიქრონ, რომ ქვეყანაში სხვა პოლიტიკური ძალაც არსებობს. თუმცა ძალიან კარგია, ჩემი აზრით, რომ არის ასეთი ფართო სპექტრი. აარჩიოს მოსახლეობამ. ოღონდ ხალხი ნუ იქნება ისეთი ინდეფერენტული, როგორც დღეს აღმოჩნდა კონსტიტუციის მიმართ, იმიტომ, რომ ეს კატასტროფისაკენ მიმავალი გზაა!

- ბატონო ლადო. როგორ შეაფასებდით ოქრუაშვილის განცხადებებს, რომელიც თითქმის დარწმუნებით ამბობს, რომ “ქართული პარტია” შეიძლება ხელისუფლების დამარცხებას და სააკაშვილის რეჟიმის დასრულებას.

- ყველა იმ ლიდერმა, რომელიც ახალ პარტიაშია, თავისი შესაძლებლობები ჩვენ უკვე გვიჩვენა. თუ მათ გადაწყვიტეს და ქმნიან პარტიას, ეს მათი არჩევანია... არის თუ არა ეს სერიოზული ძალა, ამას გვიჩვენებს დრო, ხვალ-ზეგ დაუდგება თუ არა ხალხი ამ პარტიას გვერდით. ბოლო პერიოდში ძალიან გაიზარდა ნინო ბურჯანაძის რეიტინგი. არ ვიცი, რა ეშველება ნოღაიდელს, მან გინდა მოსკოვში ირბინოს, გინდა საქართველოში დარჩეს, მე საერთოდ ეჭვის თვალთ ვუყურებ მის პოლიტიკურ მომავალს...

- ლევან გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ ახალი პარტია არის ის პოლიტიკური ძალა, რომელიც პასუხისმგებლობას თავის თავზე აიღებს. რატომ თავის დროზე არ აიღო პასუხისმგებლობა იგივე გაჩეჩილაძემ, რომელმაც ფაქტობრივად საპრეზიდენტო არჩევნები მოიგო?

- ნამდვილად ვერ გეტყვით. ამ ახალ პარტიას ალბათ საზოგადოების გარკვეული მხარდაჭერა ექნება, რადგან გამოკვეთილი ლიდერები ყავს.

- ოქრუაშვილის პიროვნული ფაქტორი მნიშვნელოვნად იმოქმედებს პოლიტიკურ პროცესებზე?

- მე ვფიქრობ, ხელისუფლებას დღეს ყველაზე მეტად ვისიც ეშინია, ეს ირაკლი ოქრუაშვილია. მას აქვს ის, რაც ბევრ პოლიტიკურ მოღვაწეს არა გააჩნია – ქარიზმა, რომელიც რეალურად სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებს ან ნაკლები აქვთ, ან საერთოდ არა აქვთ.

- ანუ ოქრუაშვილში ძალა ჩანს?

- რა თქმა უნდა. მეორეც, რადგან ოქრუაშვილი იყო გუნდის წევრი, მან ძალიან ბევრი რამ იცის. წარმოიდგინეთ, ოქრუაშვილმა ტყუილებიც რომ თქვას, უფრო დაუჯერებს ხალხი, ვიდრე ნებისმიერ სხვას მართაღს, ანუ ოქრუაშვილის ტყუილს უფრო დაიჯერებენ, ვიდრე სხვის მართაღს. ეს კი მას უფრო მეტ პოპულარობას მატებს. ხელისუფლებაც ყველაზე მეტად ოქრუაშვილს უფრთხის. ერთხელ რომ გაუღერდა ოქრუაშვილი საქართველოში თურქეთიდან ჩამოფრინდაო, ხომ გახსოვთ თვითმფრინავი სად დასვეს. როგორი შეიარაღებული ძალებით შემოარტყეს ალყა თვითმფრინავს, მაგრამ ოქრუაშვილი თვითმფრინავში არ იყო. ესეც ადასტურებს, როგორ ეშინია ოქრუაშვილის ხელისუფლებას. არ ვარ დარწმუნებული, რომ ხალხი დაივიწყებს ოქრუაშვილის საქმეებს ხელისუფლებაში ყოფნის დროს, თუმცა დიდი ალბათობით აპატიებს

მას მის ნამოქმედარს... როცა პოლიტიკური ლიდერი ხარ, მეტი პასუხისმგებლობა გაქვს. როცა ლევან გაჩეჩილაძემ თქვა, მე ერთი ადამიანის სისხლსაც ვერ დავღვრიდი, რომ შედეგისთვის მიმეღწიაო, მე მისი ადამიანურად მესმის, მაგრამ სხვა მის ადგილზე შეიძლება ასე არ მოქცეულიყო... და შედეგისთვისაც მიეღწია.

– თქვენი აზრით, რატომ იჩქარა სააკაშვილმა ახალი კონსტიტუციის დამტკიცება. ფიქრობთ, რომ ვადამდეღ არჩევნებს დანიშნავს?

– არა, ახლა არის სრული პოლიტიკური შტილი, აბსოლუტური სიჩუმეა და სანამ ხალხი ჯერ კიდევ მთვლემარე მდგომარეობაშია, ახლა უნდა ყოფილიყო კონსტიტუცია მიღებული. მერე, თუ ხალხი გამოიღვიძებს და მოძრაობას დაიწყებს, შეიძლება ეს მოდელი ვეღარ გასულიყო. რაც შეეხება ვადამდეღ არჩევნებს, ჯერ-ჯერობით საქართველოში ისეთი არაფერი ხდება, რაც მიგვანიშნებდა, რომ ვადამდეღი არჩევნებისკენ მივდივართ.

შორენა კოწოწაშვილი